

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

თბილისი

12 თებერვალი 2016 წ.

სხდომის ოქმი № 2/2016

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე
2. პროფესორი კახი ყურაშვილი
3. პროფესორი თამარ ჩიტოშვილი
4. პროფესორი მაკა კაჭარავა
5. პროფესორი ტატიანა ზუბიაშვილი;
6. პროფესორი მადონა გელაშვილი;
7. ასოც. პროფესორი ილონა საყვარელიძე

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. თქუ დებულების მოდიფიცირების თაობაზე (მომხ. კ.ყურაშვილი);
 2. თქუ „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესში“ ცვლილებების შეტანის შესახებ (მომხ. მ.კაჭარავა).
 3. საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების წესები (მომხ. მ. კაჭარავა);
 4. ფსიქოლოგიისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამების მოდიფიცირების საკითხი (მომხ. პროფ. მ. კაჭარავა);
1. მოისმინეს: პროფ. კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ თქუ დებულების განახლებულ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილებები თქუ დებულების რამოდენიმე მუხლში. მომხსენებელმა წარმოადგინა მოდიფიცირებული დებულების პროექტი და აუდიტორიას გააცნო რედაქტირებული მუხლები (კითხულობს); პროფ. კ. ყურაშვილმა აუდიტორიას სთხოვა, რომ მხარი დაუჭიროს მის წინადადებას და მოდიფიცირებული თქუ დებულება (მეორე რედაქცია) დასამტკიცებლად წარუდგინონ თქუ წარმომადგენლობით საბჭოს.

აზრი გამოთქვა: პროფ. ვ. საყვარელიძემ, პროფ. მ. კაჭარავამ, პროფ. მ. გელაშვილმა

კენჭისყრის შედეგი: ყველა ერთხმად დაეთანხმა.

გადაწყვიტეს:

1. მოწონებულ იქნას და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს თპუ დებულებაში (მეორე რედაქცია) ცვლილება-დამატებების შეტანის პროექტი – მოდიფიცირებული დებულება, დანართი N1-ის სახით;
2. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

2. მოისმინეს: პროფ. მაკა კაჭარავას ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის“ (მეორე რედაქცია) სრულყოფა/მოდიფიცირება. მან აღნიშნული დოკუმენტიდან წაიკითხა ის მუხლები სადაც მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილებები; მომხსენებელმა დასამტკიცებლად წარმოადგინა მოდიფიცირებული დოკუმენტის პროექტი დანართი 2-ის სახით და ითხოვა მხარდაჭერა.

აზრი გამოთქვას: პროფ. ვ. საყვარელიძემ და პროფ. კ. ყურაშვილმა

კენჭისყრის შედეგი: ყველა ერთხმად დაეთანხმა.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი“ (მეორე რედაქცია) მოდიფიცირებული სახით დანართი N2-ის ფორმით;
2. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილებების ბრძანებაში ასახვა;
3. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3. მოისმინეს: პროფ. მაკა კაჭარავას ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის ბრძანება N 07/ნ-ს თანახმად შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების წესები და ცვლილებები ამოქმედდება 2016 წლის 1 სექტემბრიდან. შესაბამისად, მიზანშეწონილად და სავალდებულოდ მიმაჩნია, რომ უნდა შევიდეს ცვლილება ასევე თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემაში, 2016 წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში აღნიშნული ცვლილებები აისახოს უნდა მოქმედ და ახალ საგანმანათლებლო პროგრამებში და ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან. პროფ. მაკა კაჭარავამ, დეტალურად წაიკითხა ცვლილებები და დამატებები, ასევე მათი ინიცირების საკანონმდებლო საფუძვლები. მომხსენებელმა დასამტკიცებლად წარმოადგინა მოდიფიცირებული დოკუმენტის პროექტი და ითხოვა მხარდაჭერა.

აზრი გამოთქვა: პროფ. ვ. საყვარელიძემ, პროფ. კ. ყურაშვილმა

კენჭისყრის შედეგი: ყველა ერთხმად დაეთანხმა.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს „საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების წესები“ მოდიფიცირებული სახით დანართი N3-ის ფორმით;
2. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილებების ბრძანებაში ასახვა;

3. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. მოისმინეს: თჰუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პროფ. მკა კაჭარვას ინფორმაცია, რომ სააკრედიტაციოდ წარდგენილი ფსიქოლოგიისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამები საჭიროებს მცირედით მოდიფიცირებას. მან მოახსენა საბჭოს წევრებს, რომ ზოგიერთ სილაბუსში განახლდა ლიტერატურა და პროგრამებშიც მცირედით განახლდა ტექსტური ნაწილი. მომხსენებელმა დანართი 1-ის და დანართი 2-ის სახით წარმოადგინა ორივე პროგრამის მოდიფიცირებული ვარიანტი და საბჭოს წევრების სთხოვა მხარდაჭერა, რის შემდეგაც ფსიქოლოგიისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამების მოდიფიცირებულ ვარიანტს მიეცემა შემდგომი მსვლელობა.

აზრი გამოთქვა: პროფ. კ. ყურაშვილმა

კენჭისყრის შედეგი: ყველა ერთხმად დაეთანხმა.

გადაწყვეტეს:

1. დამტკიცებულ იქნას ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მოდიფიცირებული და მოწონებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 1-ის სახით;
2. დამტკიცებულ იქნას ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე მოდიფიცირებული და მოწონებული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 2-ის სახით;
3. დამტკიცებული პროგრამები ამოქმედდეს შესაბამისი აკრედიტაციის გავლის შემდგომ;
4. ეთხოვოს თჰუ რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
5. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:



ვ. საყვარელიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი:

კ. ყურაშვილი